საქართველო
COVID-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებათა პროექტი

[მოლაპარაკებების საწარმოებლად განკუთვნილი სამუშაო ვერსია]

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა

[19 აპრილი, 2020]

გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა

1. საქართველოს მთავრობა (შემდეგ „**მსესხებელი**“) განახორციელებს COVID-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებათა პროექტს (შემდეგ „**პროექტი**“) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით. რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი (შემდეგ „**ბანკი**“) თანახმაა გამოყოს დაფინანსება ამ პროექტის განსახორციელებლად.

2. მსესხებელი გაატარებს არსებით ღონისძიებებს პროექტის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმა განსაზღვრავს არსებით ღონისძიებებს, ნებისმიერ სპეციფიკურ დოკუმენტს ან გეგმას, ისევე როგორც თითოეულის შესაბამის ვადებს.

3. მსესხებელი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის ყველა მოთხოვნის შესრულებაზე მაშინაც კი, როცა კონკრეტული ღონისძიებები ხორციელდება პირველ აბზაცში მითითებული სამინისტროს მიერ.

4. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების წინამდებარე გეგმით განსაზღვრული არსებითი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი და მათ შესახებ ანგარიშგება მსოფლიო ბანკის წინაშე მოხდება მსესხებლის მიერ ამ გეგმისა და იურიდიული ხელშეკრულების შესაბამისად. მსოფლიო ბანკი აწარმოებს არსებითი ღონისძიებების მიმდინარეობის შეფასებასა და მონიტორინგს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

5. მსოფლიო ბანკსა და მსესხებელს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, პროექტის მიმდინარეობისას შესაძლოა გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმაში პერიოდულად შევიდეს შესწორებები, თუკი ეს აუცილებელი გახდება პროექტის განხორცილებისას მომხდარი ცვლილებების ან გაუთვალისწინებელი გარემოებების საპასუხოდ, ან გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის თანახმად პროექტის შესრულების შეფასებით გამოვლენილი საჭიროებების გამო. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი შუთანხმებს სასურველ ცვლილებებს მსოფლიო ბანკს და განაახლებს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმას აღნიშნული ცვლილებების ასახვის მიზნით. შეთანხმება გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის ცვლილების შესახებ დოკუმენტურად იქნება ასახული წერილების გაცვლის საშუალებით მსოფლიო ბანკსა და მსესხებელს შორის. მსესხებელი დროულად უზრუნველყოფს განახლებული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის გამოქვეყნებას.

6. თუ პროექტის ცვლილებას, გაუთვალისწინებელ გარემოებებს ან პროექტის შესრულებას შედეგად მოჰყვება რისკების და ზემოქმედების ცვლილება პროექტის განხორციელების განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში მსესხებელი უზრუნველყოფს დამატებითი სახსრების გამოყოფას ასეთ რისკებზე და ზემოქმედებაზე რეაგირების მიზნით.

	არსებითი ზომები და ღონისძიებები	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება/ ორგანო**
მონიტორინგი და ანგარიშგება			
A	**რეგულარული ანგარიშგება**: გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მონიტორინგის რეგულარული ანგარიშების მომზადება და ბანკისთვის წარდგენა, რაც მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის განხორციელებას, გეგმის შესაბამისად მოთხოვნილი გარემოს დაცვის და სოციალური დოკუმენტების მომზადების და შესრულების სტატუსს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას და ღონისძიებებს, საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირებას, და არ არის მხოლოდ ამით შემოფარგლული.	ყოველკვარტალურად, დაწყებული პროექტის ეფექტურობის გამოცხადებიდან მისი მიმდინარეობის დასრულებამდე.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი
ESS 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასება და მართვა			
1.1	**ორგანიზაციული სტრუქტურა:** პროექტი შესრულდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შექმნილი პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის საშუალებით. სამინისტრო დაიქირავებს და შეინარჩუნებს კვალიფიციურ პერსონალს და რესურსებს პროექტის განმახორციელებელ ჯგუფში გარემოს დაცვის, სოციალური, ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკებისა და პროექტის ზემოქმედების მართვის მხარდასაჭერად. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის პერსონალს შორის ასევე იქნება გარემოს დაცვის ერთი სპეციალისტი და სოციალური საკითხების ერთი სპეციალისტი.	პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი უნდა შეიქმნას და დაკომპლექტდეს შესაბამისი პერსონალით პრექტის ეფეტურობის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთ თვეში. ჯგუფში იქნებიან გარემოს დაცვის ერთი და სოციალური საკითხების ერთი სპეციალისტი, რომელთა აყვანა და დანიშვნა უნდა მოხდეს პროექტის ეფექტურად გამოცხადების თარიღიდან არაუგვიანეს ერთ თვეში და ისინი ჯგუფის წევრებად უნდა დარჩნენ პროექტის მიმდინარეობის დასრულებამდე.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

1.2	**გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება / მენეჯმენტის გეგმები და ინსტრუმენტები / კონტრაქტორები** a. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მომზადება, გამოქვეყნება და დამტკიცება და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება, და ასევე, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და გარემოსდაცვითი და სოცუალური მართვის ცარჩოს შესაბამისად პროექტის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების ზემოქმედების შეფასება, მათ შორის, იმის უზრუნველყოფა, რომ ფიზიკურ პირებს ან ჯგუფებს, რომლებიც გარკვეული გარემოებების გამო შეიძლება იყვნენ მოწყვლადნი ან მოკლებულნი გარკვეულ შესაძლებლობებს, ჰქონდეთ წვდომა პროექტის შედეგად მიღებულ სარგებელზე. b. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ნებისმიერი გეგმის ან პროექტის შესაბამისი ღონისძიებებისთვის საჭირო სხვა ინსტრუმენტების მომზადება, გამოქვეყნება და დამტკიცება წინასწარ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე და შემდეგ დოკუმენტებთან შესაბამისობაში: მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები; გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო; ინფექციის კონტროლისა და ნარჩენების მართვის გეგმები; გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში მსოფლიო ბანკის ჯგუფის სახელმძღვანელო; შესატყვისი საერთაშორისო სანიმუშო სამრეწველო პრაქტიკა, მათ შორის - ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მითითებები ქვეყნისა და ტექნიკური საკითხების თაობაზე - კორონავირუსით გამოწვეული დაავადება (COVID-19) და სამედიცინო ნარჩენების უსაფრთხო მართვის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებები. c. გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის შესაბამისი ასპექტების, მათ შორის, ნებისმიერი გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმების, ინფექციის კონტროლისა და ნარჩენების მართვის გეგმების და/ან სხვა ინსტრუმენტის, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი N2-ის მოთხოვნების და ნებისმიერი სხვა საჭირო გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიების ჩართვა კონტრაქტორებთან და საზედამხედველო ფირმებთან გაფორმებული შესყიდვის	a. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო უნდა მომზადდეს პროექტის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებამდე და პროექტის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთ თვეში. გარესდაცვითი და სოციალური მართვის ჩაროჩოსა და პროექტის სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების დამტკიცებამდე პროექტი გამოიყენებს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს COVID-19 -ის მიმართ საპასუხო ღონისძიებების შესახებ მსოფლიო ბანკის , გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში. b. პროექტის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებამდე და შემდეგ ასეთი ღონისძიებების განხორციელების განმავლობაში. c. შესყიდვების პროცესის დაწყებამდე პროექტის შესაბამისი ღონისძიებებისთვის და შემდეგ ასეთი ღონისძიებების განხორციელების განმავლობაში.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი

არსებითი ზომები და ღონისძიებები		ვადა	პასუხისმგებელი უწყება/ ორგანო
	დოკუმენტების და ხელშეკრულებების გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციფიკაციებში. ასევე კონტრაქტორების და საზედამხედველო ფირმების მხრიდან მათი კონტრაქტების გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციფიკაციებთან შესაბამისობაში ყოფნის უზრუნველყოფა.		
1.3	ქმედებები, რომლებიც არ დაფინანსდება: პროექტის განმავლობაში არ მოხდება ქმედებათა შემდეგი ტიპების დაფინანსება: • ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი სოციალური გავლენა იქონიონ და გამოიწვიონ მნიშვნელოვანი სოციალური კონფლიქტი • ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ გრძელვადიანი, მუდმივი და /ან შეუქცევადი (მაგ. მთავარი ბუნებრივი ჰაბიტატის დაკარგვა) უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე • ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ უმცირესობების მიწებზე ან მათ უფლებებზე; • ქმედებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არანებაყოფლობითი განსახლება, მიწის საკუთრების და/ან გამოყენების უფლების შეზღუდვა ან უარყოფითი ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე • პროექტის გარემოსდაცვთი და სოციალური მართვის ჩარჩოს მიერ დაფინანსებისთვის აკრძალურლი ყველა სხვა ქმედება.	1.2.ა პუნქტის ფარგლებში მიმდინარე შეფასების პროცესში	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი
ESS 2: შრომა და სამუშაო პირობები			

არსებითი ზომები და ღონისძიებები		ვადა	პასუხისმგებელი უწყება/ ორგანო
2.1	**სამუშაო ძალის მართვა:** პროექტი უნდა განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი N2-ის სათანადო მოთხოვნების შესაბამისად, მსოფლიო ბანკისთვის მისაღები ფორმით, მათ შორის, სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის და უსაფრთხოების ადექვატური ზომების (საგანგებო სიტუაციების და საპასუხო ღონისძიებების მიმართ მზადყოფნის ჩათვლით), პროექტის თანამშრომლებისთვის საჩივრების მექანიზმების შემუშავების და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესყიდვის დოკუმენტების გარემოსდაცვით, სოციალური, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციფიკაციებში ჩართვის და როგორც სამშენებლო, ისე საზედამხედველო ფირმებთან გაფორმებულ კონტრაქტებში გათვალისწინების მეშვეობით.	სამუშაო ძალის მართვის გეგმა, როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს ნაწილი, საბოლოო სახით უნდა ჩამოყალიბდეს პროექტის ეფექტურობის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი
ESS 3: რესურსების ეფექტიანობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა			
	ამ სტანდარტის შესაბამისი ასპექტები გათვალისწინებული უნდა იქნეს საჭიროებისამებრ, 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების პროცესში, მათ შორის, შემდეგი ღონისძიებების ჩათვლით: ჯანდაცვის ნარჩენების და საფრთხის შემცველი და უვნებელი ნარჩენების სხვა ტიპების მართვა.		
ESS 4: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება			
	ამ სტანდარტის შესაბამისი ასპექტები გათვალისწინებული უნდა იქნეს საჭიროებისამებრ, 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების პროცესში, მათ შორის, შემდეგი ღონისძიებების ჩათვლით: საზოგადოებაში ინფექციური დაავადების გავრცელების პოტენციალის მინიმუმამდე დასაყვანად; იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფიზიკურ პირებს ან ჯგუფებს, რომლებიც გარკვეული გარემოებების გამო შეიძლება იყვნენ მოწყვლადნი ან მოკლებულნი გარკვეულ შესაძლებლობებს, ჰქონდეთ წვდომა პროექტის შედეგად განვითარების მიმართულებით მიღებულ სარგებელზე; უსაფრთხოების პერსონალის გამოყენების რისკის სამართავად; შრომითი რესურსების შემოდინების რისკის სამართავად; და სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის, და სექსუალური დევნის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის.		
ESS 5: მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვა და იძულებითი განსახლება			
	არ ეხება ამ პროექტს		
ESS 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა			
	არ ეხება პროექტს		
ESS 7: აბორიგენი მოსახლეობა / საჰარის სამხრეთით ბინადარი ტრადიციული თემები, რომლებიც მოკლებულნი არიან სერვისებს			
	არ ეხება პროექტს		
ESS 8: კულტურული მემკვიდრეობა			

არსებითი ზომები და ღონისძიებები		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება/ ორგანო**
	არ ეხება ამ პროექტს		
ESS 9: ფინანსური შუამავლები			
	არ ეხება ამ პროექტს		
ESS 10: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება			
10.1	**დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა:** დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განახლება, გამოქვეყნება, დამტკიცება და განხორციელება გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი N10-ის შესაბამისად, მსოფლიო ბანკისთვის მისაღები ფორმით	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა უნდა განახლდეს და ხელახლა გამოქვეყნდეს პროექტის ეფექტურობის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთ თვეში, შემდეგ კი პერიოდულად უნდა განახლდეს და გამხორციელდეს პროექტის მიმდინარეობისას მის დასრულებამდე.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი
10.2	**საჩივრების წარდგენის მექანიზმები:** საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი საჯაროდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი პროექტთან დაკავშირებით პრეტენზიების და საჩივრების მისაღებად და გადასაჭრელად გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი N10-ის შესაბამისად, მსოფლიო ბანკისთვის მისაღები ფორმით	საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი განახლდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ფარგლებში და ცხელი ხაზი შეიქმნება პროექტის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი
შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა (სწავლება)			

არსებითი ზომები და ღონისძიებები		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება/ ორგანო**
	<u>პროექტის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის ჩასატარებელი სწავლების თემები სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს შემდეგს:</u> • ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ქვეყანასთან დაკავშირებული და ტექნიკური მითითებები - კორონავირუსული დაავადების შესახებ (COVID-19) https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/technical-guidance შემდეგის ჩათვლით: - COVID-19 ინფექციის პრევენციასთან და კონტროლთან დაკავშირებული რეკომენდაციები - COVID-19 -თან დაკავშირებული ლაბორატორიული ბიოუსაფრთხოების მითითებები - ნიმუშების შეგროვება და გაგზავნა - სტანდარტული სიფრთხილის ღონისძიებები COVID-19-ით დაავადებული პაციენტებისთვის - რისკის კომუნიკაცია და საზოგადოების ჩართულობა - კარანტინის შემოღება • ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებები ჯანდაცვის სექტორის ნარჩენების უსაფრთხო მართვის შესახებ https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/85349/9789241548564_eng.pdf;jsessionid=EE45FF4B510A5297A7DFF6030A3BED25?sequence=1 • ეროვნული სანიტარული ნორმები და წესები	პროექტის განხორციელების პერიოდში საჭიროებისამებრ და ტერიტორიულად სპეციფიკური პროექტის ღონისძიებების დაწყებამდე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი